სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაური ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

თანახმად წერილებით თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილისა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო რამდენადაც-კი შეიძლება ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება—ქ. ტფილისში, დოის-მელიქოვის ქუჩა.

ქალაქ. გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასებად:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი . . . . . 1—„
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . „—50
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი. . . „—10
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) . . „—20
თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმ., I ტომი „—70
იგივე . . II ტომი „—60
იგივე . . III ტომი „—60
იგივე . . IV ტომი „—80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . . . . . „—10
თხზულებანი აკაკისა, ტომი I „—60
იგივე ტომი II . . . „—60
თხზ. რ. ერისთავისა ტომი I „—60
აარაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . . „—25
სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . „—40
საქართველო და მისი წარსული დრო, ვ. პოტტოსი . „—20
აივენგო, ვალტერ სკოტისა . „—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში . . . . . „—15
გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით „—15
სამზარეულო ქართულ და ევროპიული საჭმელებისა . . 1—20
ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . 1—50
სიბრძნე ბალავარისა . . . „—30
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . „—80
დასტურ-ლამა, თხზულებანი ნიკოლოზ ლადიანისა . . „—10

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობა 14 მანეთად. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯს 1 მან. გამოგზავნიან.

ამ ფასად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე" გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წლ.—7 მან. და 1896 და 1897 წლ.—5 მანეთად.

მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე"-ზე ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ; (100—99)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—35)

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა
მარინესი
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამამისა
ფასი ერთი შაური
(10—2)

ქ. ქუთაისი
ამ წლის ენკენისთვეში
უფასო სამკითხველოს
ფონდისთვის
გამართული იქნება
ვაჭრობა-გაზრობა
დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.
(12—5) ელენე ჯინოშვილისა

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **უპატრონო ობოლი.** სამი წლის ბავშვი, მდედრობითი სქესისა, რომელიც ბუნებისაგან დაჯილდოვებულია ლამაზ-სანდომიანი სახით და, რამდენიც მოეთხოვება, ჭკუის სიმკვირცხლით, ეს ცხოველი და ნიჭიერი ბავშვი, რომელიც კარგი პატრონის და რიგიანი ყურის მგდებლის ხელში ფრიად სიმპატიური ქალი დადგებოდა, დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ იტანს თითქმის შიმშილ-წყურვილ-სიშიშვლეს და მომავალში, მგონი, სულ უპატრონოდ და ბედის ამარად დარჩეს, თუ ეხლა რამე არ ეშველა. საქმე იმაში გახლავს, რომ ორი წლის წინად ამ ბავშვს მოუკვდა ჯერ მამა, ალექსანდრე ციცაგი და შემდეგ დედაც. რადგანაც სხვა პატრონი არავინ არ გაჩნდა, იმისმა დიდედამ ანუ ბებიამ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ღატაკად იყო და ნივთიერად შევიწროებულს მდგომარეობაში იმყოფებოდა, აიყვანა ეს ბავშვი და აქამდინ, ერთი წლის განმავლობაში, ასე თუ ისე უპატრონა. ახლა კი, ერთის მხრივ სიღარიბე და მეორე მხრივ ავადმყოფობა უშლის იმას, ბავშვის მოვლა-პატრონობას, ამასთანავე ზნეობრივად მოვალეა ბავშვის მომავალზე იზრუნოს, ისეთი პატრონი გამოუძებნოს, რომ სამუდამოდ გაუძლვეს. ამიტომაც, რადგანაც სხვა ვერა ილონა-რა, მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერელს, მთხოვა იმან, დასახელებულ ბავშვის, ოლღა ციცაგის ბებიამ, რომელიმე რედაქციას შევეხვეწო და დავასტამბვინო გაზეთში მაგ ობლის ასეთ მდგომარეობაზე წერილი, რომელშიაც მივმართო საზოგადოებას შემდეგის წინადადებით: თუ უკანასკნელის წრეში გამოჩნდება ისეთი პირი, რომელიც ინდომებს შვილად აიყვანოს ზემო დასახელებული ბავშვი, ოლღა ციცაგის ასული, კეთილ ინებოს და მობრძანდეს ამაღლების ქუჩაზე, დეკანოზ ტერ-სარქის ალაჯანოვის სახლში, № 58 და იკითხოს სალომე ციცაგი, ანუ ქვემორე ამისა ხელის მომწერელი.

ნ. ხევცურიანი

*** **ყოვლად სამღვდელო ლეონიდის წირვა.** მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდი დღეს, 1 აგვისტოს, მწირველი იქნება ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც მოგროვდება ტფილისის სამღვდელოება ეკკლესიების ძველის ხატებით. წირვის შემდეგ სამღვდელოება ქაშვეთის ეკკლესიიდან ლიტანიით წამოვა ალექსანდრეს ბაღით მადათოვის კუნძულზე, რომლის ნაპირსაც აშენებულია ფარდული წყლის საკურთხებლად. წყლის კურთხევის შემდეგ სამღვდელოება ლიტანიითვე ქაშვეთის ეკკლესიაში დაბრუნდება.

*** **ქრისტ. აღმად. სკოლა ცხინვალში.** მართლ-მადიდებელმა ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ ერთს თავის რჩევაზედ გარდასწყვიტა, რომ ექვსი წლის კურსით კავკავის საქალებო სასწავლებელი დაეკეტნა და გადმოეტანა საქართველოში. ზემოხსენებული საზოგადოება ამ სკოლაზე ყოველ წლიურად ხარჯავდა ათას თუმანზე ხან მეტსა და ხან ნაკლებს. კრებამ არჩია კომიტეტი სამის წევრისაგან და ამათ თავჯდომარედ არქიმანდრიტი აწ ახლად დანიშნული ალავერდის ეპისკოპოსი მ. კირიონი, რომ აერჩიათ ჩვენში უფრო მოხერხებული ადგილი ხსენებული სკოლის დასაარსებლად.

იმ ზაფხულს თავმჯდომარეს უმოგზაურია სხვა ადგილებშიაც და ამ უკანასკნელ დროს მობრძანდ, ამ საქმის გამო, დ. ცხინვალში იმ მოსაზრებით, რომ ცხინვალის საზოქაულო სრულიად მოშორებულია იმ ადგილებს, სადაც სწავლა განათლება ბჟუტავს მაინც; რადგანაც საზოქაულოში, მეტ ნაწილად ქალებს, ქრისტეს სარწმუნოება და სწავლა სულ უკუღმა ესმით და თვით დაბა ცხინვალიც შუა ადგილას არის დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ოსებზედ, მთის ქართველებზედ და ბარის ოსებზედაც და ქართველებზედაც, საუკეთესო ადგილადა სცნო დ. ცხინვალში დაარსებულიყო ის სასწავლებელი, რომელიც იქმნა დაკეტილი კავკავში. მართლაც თუ ეს ესე მოხდება, ეხლა კი დაბეჯითებით შემიძლიან ვსთქვა, რომ მხოლოდ ეხლა და გაუთენდა ცხინვალის საზოქაულოს დედათა სქესს, სადაც მთიელ ხალხს დედაკაცი აჩნიათ პირუტყვებად. ვინ არ იცის ჩვენში, რომ ოსის დედაკაცს და მთიელი ქართველების დედაკაცს ისე ყიდულობენ აქ, როგორც ძროხებს და იგივე უფლება აქვთ, როგორც ხარებს ოჯახში. როდესაც მამა-კაცის ნებაა, აქმევს და როდესაც იმისივე სურვილი ამუშავებს. ნუ თუ ამ კალაპოტში ჩაყენებული დიაცებისთვის სწავლა-განათლება საჭირო არ არის, და აქამდინაც არავის უნდა ეფიქრნა.

მ. არქიმანდრიტის განკარგულებით, ამას წინათ დ. ცხინვალში შეიყარა ხალხი და ინსპექტორმა წინადადება მისცა ხალხს სკოლის დაარსების შესახებ. ებრაელებმა ერთხმად უარი განაცხადეს, რომ ჩვენ ქალების სასწავლებელი არ გვინდაო, დანარჩენმა ხალხმა კი დიდის და ხანგრძლივის ქოქმანის, ტოტმანის და ყოყმანის შემდეგ მოახსენეს აწ ახლად დანიშნულს მ. ალავერდის ეპისკოპოსს, რომ შეგვატყობინეთ დაწვრილებითი ანგარიშითაო, თუ ჩვენის მხრით რამდენი მოუნდება შენობის-ადგილი და ან ფულით რამდენი უნდა დავეხმაროთ ამ საქმესაო და რომლის საჭიროებისთვისაო. ამ ლაპარაკის შემდეგ მ. არქიმანდრიტიც წაბრძანდა და ყრილობაც დაიშალა. რა იქნება შემდეგისთვის და ან რას იფიქრებს, როგორც მ. ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი, ისე საზოგადოება, ყველაფერი გამოჩნდება. მე კი ჩემის მხრით იმას ვურჩევ ცხინვალელებს, რომ სანამ თონე ხურს, პური ჩააკრან. კარგად ჩაუფიქრდნენ ამ საქმეს და რაც შეიძლება მიატანონ ძალა ხალხს და ამათ ხელიდან არსად წავიდეს; ამისთანა ბრმა ბედი ათასში ერთხელ მიადგება ხოლმე კაცს კარზედ. როგორც კერძოთ შევიტყვე, ბევრს მემამულეს სურს გორის მაზრაში დაუთმონ ადგილი და თავიანთ სოფელში გადაიტანონ ეს სასწავლებელი. ბ. ცხინვალელები კი ჯერ ყურსაც არ იბერტყავენ, დარწმუნებულები არიან, რომ მამულიც რომ არ დაუთმონ, მაინც სასწავლებელი ცხინვალში უნდა დაარსდესო; ნუ ეწყინებათ კი ცხინვალელებს და იქნებ იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ისე მოუვიდეთ: „მოყვარეს სამჯერ მოსწიეო, თუ არ მოგყვეს, შენ თითონა ჰკარ ხელი და წყალში ჩააგდეო“.

მართალაძე

* * * **ქიზიყის დეპოს კრება** დანიშნულია ქვემო მაჩხაანში კვირას, 2 აგვისტოს. კრება მოისმენს რა წლიურ ანგარიშს და სხვა და სხვა საჭირო და სასარგებლო წინადადებას, შეუდგება გამგეობის წევრების არჩევას ძველების მაგიერ, რომელთაც ვადა უთავდებათ და რომელთაც ამ ორი თვის წინად სურვილი გამოაცხადეს მეტი სამსახური აღარ შეგვიძლიანო.

* * * **სათავად-აზნაურო თეატრი** უკვე გაისინჯა კომისიისაგან, რომელიც დაინიშნა პოლიცმეისტრის წინადადებით. კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა რა ელექტრონის სადგური და თვით თეატრი, აღმოაჩინა, რომ საშიშო არაფერი არ არის, მხოლოდ თავად-აზნაურთა მამულის გამგე კომისიას ურჩია, ზოგიერთი ადგილას კარები მოუმატეთ გამოსასვლელად, რათა ცეცხლის გაჩენის დროს უფრო თავისუფლად შეიძლებოდეს თეატრიდან თავის დახწევაო.

* * * **ეკკლესიის კურთხევა.** სადგ. გრაკლის მახლობლად, სოფ. მეტეხში, 8 აგვისტოს აკურთხებენ ძველ ეკლესიას, რომელიც ამას წინად განაახლეს. კურთხევას დაესწრებიან საქართველოს ექსარხოსი, მაღალ-ყოვლად უსამღვ. ფლაბიანე და არქიმანდრიტი კირიონი.

* * * **პროფ. მარრი კონსტანტინეპოლში.** კონსტანტინეპოლის სომხურ გაზეთში სწერენ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა მარიმ, რომელიც ამ ჟამად კონსტანტინეპოლში იმყოფება, დაათვალიერა სომეხთა საერო წიგნთ-საცავის ძველი ხელნაწერები და ამ მოკლე ხანში გამოსცემს თავის გამოკვლევას.

* * * **ქუთაისის ახალი გუბერნატორი** გენ.-მაიორი თ. კ. გერშელმანს მიელიან ქუთაისში აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში.

* * * **საჯარო ვაჭრობა.** 4 აგვისტოს, ბაქოში, საბაჟოს (დამოჟნის) დარბაზში დანიშნულია საჯარორო ვაჭრობა 189,160 ცალის კრაველის ტყავის გასაყიდად, რომელიც იწონის 1,944 ფუთს; 1475 ფუთი ტყავი უმაღლესი ხარისხის ტყავია.

* * * **დავა სათავ.-აზნ. ბანკსა და თავ. ი. ბარათოვს შუა.** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულმა ნაფიც ვექილის თანაშემწემ თურქესტანიშვილმა საპელაციო საჩივარი შეიტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებაზე, რომლითაც თავ. ი. ზ. ბარათაშვილის საჩივარი, რომ ბანკმა თავ. ავალიშვილის გარდაცვალების შემდეგ მე არ მიმიწვია გამგეობის წევრის თანამდებობის აღსასრულებლად, თუმცა მე ვიყავ უფროს კანდიდატად არჩეულიო, და სხვა მიიწვიაო,— შეიწყნარა და დაადგინა: ბანკს გარდახდეს ბარათაშვილის სასარგებლოდა და საქმის წარმოების ხარჯათ 327 მან. 85 კ, ბ-ნი თურქესტანიშვილი თავის საპელაციო საჩივარში სწერს, რომ ეს საქმე არ ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებათ და თავ. ბარათაშვილს თავისი საჩივარი ბანკის ზედამხედველ კომიტეტის ხელით უნდა წარედგინა ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიისათვისაო.

* * * **თავისუფალი მიწები ნაძალადევში.** ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა იჯარით გასცეს 199 ნაჭერი სასახლკარო მიწა ნაძალადევის მახლობლად. ქალაქის გამგეობას მიუღია 1,000 კაცისაგან თხოვნა იჯარით მოგვეცით ადგილიო. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, რაკი ამდენი მთხოვნელია, ჯერ უნდა ტფილისის მკვიდრი მცხოვრებნი დავაკმაყოფილოთო და მერე რაც გადარჩება, სხვებს მივცეთო.

ვერაფერი განკარგულებაა! ქალაქს იქვე დიდძალი მიწები აქვს სრულებით უსარგებლო ქალაქისათვის. მიწა იმთენია, რომ 1000 კი არა, 2,000 კაცსაც ეყოფა. კარგი იქნება, რომ ეს ადგილებიც გასცეს იჯარით. („ივ.“)

* * * **ფრინველთა სასაკლაო ტფილისში.** ქალაქის სკვაჩრო სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს, ბ-ნ ჯაბადარს პროექტი წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის ტფილისში ფრინველთა ბაზრის გამართვის შესახებ. ამ პროექტით ბ-ნი ჯაბადარი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ამოირჩიეთ ისეთი ალაგი, რომ 25,000 შინაური ფრინველი დაეტიოს და გაჰმართეთ იქვე საყასბო. იქვე უნდა იყვნენ ბეითალები ფრინველთა გასასინჯათ, გამართული იყოს ღუმელი და ქვაბები დაკლულ ფრინველის გასაბდღვნელად და ბუმბულის გასამშრალებლად. ხოლო გარდასახადად დაინიშნოს ვარიისა 1 კაპ. და თითო ქათამ-ბატ-ინდაურისა კი 2 კ. ტფილისში ყოველ წელს იყიდება 525,000 ქათამი დაკლული თუ ცოცხალი, 630,000 ვარია და 40,000 ბატი, იხვი და ინდაური. ამას გარდა, სოფლელები ყოველ წელს ჰყიდიან 50,000 ცალს ფრინველს, ასე რომ ყოველ წელს ქალაქ ტფილისში სულ იყიდება 1,245,000 ფრინველი. ამ ანგარიშით ქალაქის გამგეობას შემოსავალი ექნება წელიწადში 17,600 მან., მხოლოდ ამ ბაზრის მოწყობა-მომართვას კი ერთხანად ხარჯი მოუნდება 3,000 მან. და ყოველ წლიურად 3,600 მანეთამდე, ასე რომ ქალაქის შემოსავალს პირველსავე წელიწადს 11,000 მან. მოემატება და მცხოვრებლებიც უზრუნველ-ყოფილნი იქმნებიან ჭირიან და უვარგის ფრინველის საჭმლად ხმარებისაგან.

* * * **მადლობა შემოწირულებისათვის.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თავ. ივ. დ. მაჩუტაძეს, რომელმაც შემოსწირა აცანის უფასო სახალხო სამკითხველოს ხუთი მანეთი.

მ. ტუსკია

* * * **სოფ. ყაზბეგი.** **მამასახლისის სასიკვდილოდ დაჭრა.** ამ დღეებში აქ ვიღაც ლ—ვმა სასიკვდილოდ დასჭრა სოფ. სტეფან-წმინდის მამასახლისი, როცა ეს უკანასკნელი სამსახურს ასრულებდა და ჩამოგლიჯა ჯაჭვი. გალახული თუ სიკვდილს გადაურჩა, ტანმთელობას მაინც უთუოდ გამოეთხოვება. ადგილობრივი მკვიდრნი, რომელნიც დიდ პატივს სცემდნენ თავიანთ მამასახლის, მეტად აღშფოთებულნი არიან ამ შემთხვევით.

* * * **ს. მარტვილი** (სამეგრელო) **ნიმუში ჩვენებურის დაუდევრობისა.** მარტვილის ტაძარი განთქმული იყო მთელს სამეგრელოში თავისის სიმდიდრითა. მთავარნი და დიდებულნი სამეგრლოისა სულ იმის ცდაში იყვნენ, გაემდიდრებინათ თუ ხატებითა, თუ სხვა საეკკლესიო ნივთებითა ის ტაძარი, სადაც სიკვდილის შემდეგ საუკუნო განსასვენებელი უნდა მოეპოვებინათ. ბოლო ხანამდე ასე თუ ისე ხელ უხლებელი იყო განძი ამ ტაძრისა.

პირველად გაზიდულ იქმნა თვალსაჩინო ნივთები ამ ტაძრიდან მხატვრის საბინ-გუსისაგან 1884 წელს ყველაზე ძვირფასი ხატი იყო ღვთისმშობლისა, მინანქარით შემკული, მშვენიერის ხელოვნებისა. ეს ხატი ხსენებულმა საბინ-გუსმა პეტერბურგში წაიღო „განსაახლებლად“ (?) და იმის მაგიერ დააბრუნა, მართალია, „განახლებული“ ხატი, გარნა ამ ხატს იმის მეათასედი ფასი არა აქვს ჩვენის არქეოლოგიისათვის, რაც იმ „განახლებულს“ ხატსა ჰქონდა.

გარდა ამისა, ძვირფასი საპატრიარქო და სამღვდელმთავრო შესამოსლები და ძველი ხელნაწერები ამ უკანასკნელს ჟამს მეტად გაფუჭდა და ჩრჩილისა და ნესტის მსხვერპლი შეიქმნა. ჩვენის დაუდევრობის ბრალია, რომ მოქვის სახარება, XI საუკუნეში დაწერილი ტყავზე, მშვენიერის მხატვრობით შემკული, სანახევროდ გაფუჭებულია. ამავე დღეში არის სხვა ხელნაწერები, აწ გაუქმებულ საირმის მონასტრიდან (ლეჩხუმში) გადმოტანილ ხელნაწერებსა და სხვა ძვირფას მინიატურებსა. ეტყობა, რა კი ერთი და ერთი შეუყრიათ ნესტიან ოთახში, მერე ზედ არავის შეუხედნია. ამაზე წინათ აქა ყოფილა რუსების ახალგაზდა მხატვარი ეისნერი, დაუთვალიერებია ყოველივე, ღირსშესანიშნავ მხატვრობათაგან პირი გადაუღია და შეძრწუნებულა, როცა უნახავს ასე უყურადღებოდ მიყრილი განძი და სიძველენი, რომელთაც სხვაგან თვალის ჩინივით უვლიან ხოლმე.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, ცნობილმა მფარველმა საქართველოის ძველთა ნაშთთა, თავისი მწყემსთ-მთავრული ყურადღება მიაქცია ამ სავალალო მდგომარეობას დიდებულის ტაძრის ძველ ნივთთა და სათანადო განკარგულება მოახდინა, რათა გაკეთდეს საჭირო რიცხვი შესახებ განძინათა დასაცველათ ყველა ნივთთა და ძველ ხელნაწერთა. უეჭველია, როცა აღინუსხება ყველა ნივთები, ვისმე მცოდნეს კატალოღის შედგენასაც მიანდობენ. სასურველია, შედგენილ იქმნეს წიგნაკიც, რომლის შემწეობით აქ მოსულს მლოცველს შეეძლოს გაცნობა ამ დიდებულის ტაძრის წარსულისა და აწმყოისა.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ეგრედ წოდებულს „მარტვილის სვეტს“ (რომელსაც მდაბიონი „დილეკს“ უხმობენ უსაფუძვლოდ). ეს სვეტი რამდენსამე ალაგას გაბზარულია და მოსალოდნელია, მალე კიდეც დაინგრეს, თავს დაეცეს თვით ტაძარს და დააზიანოს.

გარდა ამისა, მუდამ ჟამს თვალყური ადევნოს კაცმა თვით ტაძრის სახურავს. საქმე ის გახლავსთ რომ ამ ტაძარს ადრე მკვიდრი სახურავი ჰქონდა სპილენძისა. ერთმა წინამძღვარმა მამა სოფრონმა ეს სახურავი აიყრევინა, გააზიდვინა წონით და მის მაგივრად თუნუქი იხმარა სახურავად. ხოლო თუნუქი სპილენძთან თავისდღეში ვერ მოვა, მალ-მალე ფუჭდება და ხან იქა და ხან აქ წვიმა ჩამოდის და შენობას აფუჭებს ტაძრისას. თუ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, მთელის საუკუნოობით მკვიდრად და ურყევლად მდგარი ტაძარი ხელიდგან გამოგვეცლება.

მგზავრი

*** **ლაგოდეხი.** კაცის დაჭრა. 22 ივლისს, საღამოს ჟამს აქ ერთმა ახალ-გაზდამ გვარათ ბეგიევმა (სომეხია) კალმის დანით დასჭრა სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირის მცხოვრები ხლეხი კოსტა ბაგაშვილი, რომელიც საქონელს აძოვებდა ლაგოდეხის მინდვრებში. ამ ბეგიევს ჯერ დაეპატიჟნა ეს ბაგაშვილი, წაუღია მასთან ერთად მინდორში ვახშამი ღვინით, იქ უსვამთ და ბოლოს ჩხუბიც მოსვლიათ, რომლის მიზეზი ყოფილა თვითონ ბეგიევი, რომელსაც იქვე ამოუღია ჯიბიდგან დანა და დაუკრავს ამ მწყემსისთვის გვერდში. დაპატიჟებაც ასეთი უნდა!

ამ დაჭრილმა იმოდენი შესძლო რომ მივიდა აქაურ სიქვეითო ჯარის მორიგ აფიცერთან და უამბო ყოველი. ამ უკანასკნელმა, რასაკვირველია, დაჭრილი ბაგაშვილი გაგზავნა აქაურ საავადმყოფოში და ბეგიევი მაშინათვე იქმნა დაპატიმრებული.

დაჭრილს სიკვდილით არა უშავს რა. გამოძიება სწარმოებს.

— ამინდები. ერთი თვე იქნება რაც აქეთ ძრიელ შეწუხებული იყვნენ დიდი და პატარა უზომო სიცხეებისაგან, აქვე მცხოვრებნი ხნიერი კაცებიც ამბობენ, რომ აქ ასეთი სიცხეები თითქმის არც კი გვახსოვსო, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ეს ორი დღეა ღონიერად წამოწვიმა, რითაც სული მოითქვა ყოველმა სულდგმულმა.

ანტონ ჯაგნელი

*** **ს. საგარეჯო** (გარე-კახეთი). წარმოდგენის გამართვა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ახლო ხანში ბ. ალ. თამაზიშვილი და ქ. ს. აბდუშელისა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენას მართავს ს. საგარეჯოში, ადგილობრივი წიგნთსაცავის სასარგებლოთ, წარმოდგენილ იქნება „ხათაბალა“, გ. სუნდუკიანცის 4 მოქ. და 6 სურათიანი კომედია. ამ წარმოდგენის გამართვა ფრიად სასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ როგორც შევიტყეთ ამ ზაფხულს საგარეჯოში და საზოგადოთ ივრის ხეობაზე ზოგიერთა მიზეზების გამო წარმოდგენის გამართვა ვერ მოუხერხებიათ. წიგნთ-საცავს კი შესანახი წყარო ეჭირვება. კარგი იქნება აგრეთვე ივრის ხეველები გაითვალისწინებდნენ ფოსტას, რომლის შესანახათ საჭიროა კიდევ ცოტაოდენი ფული და რაიმეს იღონებდნენ. იმედია საგარეჯოს ახლო-მახლო სოფლები (ივრის ხეველები) თანაგრძნობით მიეგებებიან ამ წარმოდგენას.

თვალ-ყურა

*** **ს. ჩხარი** (იმერეთი). ახალი მაზრის უფროსის მოსვლა. 23 ივლისს აქ მობრძანდა შორაპნის მაზრის ახალი უფროსი. ამავე დღეს მოწვეულ იქმნა გლეხების ყრილობა, რომელსაც მაზრის უფროსმა მიმართა წინადადებით, მაცნობეთ ყოველი თქვენი საჭიროებაო. თუმცა ხალხმა ვერ განუმარტა მას თავისი საჭიროება, მაგრამ მაზრის უფროსი თვითვე მიხვდა მათ გაჭირვება-დაღხინებას, მისცა მათ შესაფერი დარიგება და თითქმის თუ მეტი არა, ორი საათი მაინც ილაპარაკა. ბ. უფროსის სიტყვამ ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, რომელიც დაიშალა იმედებით აღფრთოვანებული. მეორე დღეს, პარასკევს ბ. მაზრის უფროსმა ადგილობრივი ბოქაულის კანცელარია განიხილა. შემდეგ მთელი ჩხარი დაიარა და დაათვალიერა. სხვათა შორის, ინახულა ადგილობრივი წმ. გიორგის ეკკლესია, რომლის ძველის-ძველი ძვირფასი ნივთები დიდად მოიწონა, ხოლო შენობა კი დაიწუნა, რადგან პატარაა და გარდა ამისა, ერთგან კედელი გახეთქილი აქვს და ამის გამო შიგ წირვა-ლოცვის შესრულება საშიშოაო. ამავე დღეს განიხილა ადგილობრივი სასოფლო კანცელარიის საქმეები და ორივე კანცელარიის საქმეთა წარმოება მოიწონა. მესამე დღეს ბ. უფროსმა დახედა მდ. ძერულას, რომელიც სოფ. ჩხარს ჩაუდის დასავლეთით და ჰყოფს ერთმანეთისაგან ქუთაისისა და შორაპნის მაზრებს. ამ მდინარეზე არ არის ხიდი და ამის გამო ხალხს წყალ-დიდობის დროს დიდი გაჭირვება ადგას. იმედია ბ. მაზრის უფროსი ამ საგნის შესახებ ჯეროვან განკარგულებას მოახდენს და გვაღირსებს ძერულზე რიგიანი ხიდის გაკეთებას.

ჩ—ი მ.—ლი

## ყურმოკრული საუბარი

სასამართლოში. — თქვენ გბრალდებათ, რომ ცოლსა სცემთ. განა არ იცით, რომ ამისათვის თქვენ კანონიერი სასჯელი მოგელით?

— მე, ბატონო მსაჯულო, ეგეღა სასჯელი გადავიხადე.

— როგორ?

— ცოლის შერთვით, ბატონო!

# ბისმარკიანი

ბისმარკის „ნიჩევო“. ბისმარკი მესამოცე წლების დამდეგს, როცა იგი ჯერ ისევ უბრალო ფონ-ბისმარკად იწოდებოდა, იყო გერმანეთის ელჩად რუსეთის იმპერატორთან. რუსულად ბისმარკი მეტად უხეიროდ ლაპარაკობდა, მაგრამ ეს მას ოდნავაც არ აშფოთებდა, ხშირად მუსაიფს გაუმართავდა ხოლმე უბრალო გლეხებს, გულ-დასმით უსმენდა მათ, ხშირად აქეზებდა მათ სალაპარაკოთ და უმეორებდა ხოლმე: „საქმე“, „საქმეო“. ბისმარკი იყო თავ გადადებული მონადირე და ხშირად დადიოდა სანადიროდ მდ. ვოლხოვზე, რომელსაც იმ დროს მშვენიერი სანადირო ადგილის სახელი ჰქონდა განთქმული. აქ ნადირობის დროს ბისმარკს ერთხელ შემდეგი საინტერესო საქმე შეემთხვა.

ერთხელ ბისმარკი უბრალო სოფლურ ურმით სადღაც შაობის ფრინველებით მდიდარ ადგილში მიდიოდა მდ. ვოლხოვის მახლობლად. გზა მეტისმეტი ცუდი იყო, შემოდგომის ტალახით სავსე, და ბისმარკს ყოველ წუთს შეეძლო გადავარდნილიყო ლაფში. ის საშინლად გამწყრალი იყო და ყოველ წუთს დასჭყიოდა მეურმეს, არ გადამაგდო, თორემ შავ დღეს დაგაყენებო,

მაგრამ მეურმე არხეინი კაცი იყო და ყოველ ლანძღვაზე ბისმარკს მხოლოდ ამას უპასუხებდა:

— „ნიჩევო“! (არაფერია! არა უშავს-რა!)

ბოლოს და ბოლოს ეს ბისმარკს ისე მოეწონა, რომ სიტყვა „ნიჩევო“ მას ჩვეულებად გადაექცა და შეიქნა მის საყვარელ სიტყვად.

ყოველთვის, როცა ბისმარკს ძალიან გაუჭირდებოდა საქმე, მოიგონებდა თავის „ნიჩევოს“ და გაიძახოდა „ნიჩევოო“.

როცა რეიხსტაგში ერთხელ მოწინააღმდეგე დასები ძლიერად აღიჭურვნენ ბისმარკის წინააღმდეგ და ათასი ბრალი დასდვეს მას, ის სრულიად არხეინად იყო და მის მახლობლად მყოფთ ხშირად ესმოდათ მისგან სიტყვა „ნიჩევო“.

—

ომის გადამწყვეტი სიგარა. ერთმა კარგმა სიგარამ, რომელიც ბისმარკს ძალიან უყვარდა, შემდეგი სამსახური გაუწია მას ერთ ომში (კენიგრეცთან), როცა საშინელ ივლისის

დღეში, 1866 წ. ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვის დარჩებოდა გამარჯვება, ბისმარკი მივიდა ცხენით მოლტკესთან, რომელიც უნაგირზე იჯდა და გულ-დამშვიდებით, მაგრამ დაკვირვებით ადევნებდა თვალს ომის მსვლელობას. მასთან ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ბისმარკმა ამოიღო ჯიბიდან პორტ-სიგარი, რომელშიაც ორი სიგარა ჰქონდა — ერთი კარგი, მეორე ცუდი, და ხმის ამოუღებლივ მიაწოდა მოლტკეს. მოლტკემაც ხმის ამოუღებლივ გამოართვა პორტ-სიგარი, გასინჯა სიგარები და ამოიღო უკეთესი. ეს უხმო ლაპარაკი ბისმარკისათვის სრულიად საკმარისი იყო, მან მაშინვე მოაბრუნა ცხენი და გაბრუნდა. „რაკი მოლტკემ აგრე გულ დამშვიდებით აირჩია უკეთესი სიგარა, უეჭველია, ომის საქმე ცუდად არ ყოფილა!“. მალე ამის შემდეგ მოლტკემ ომი მოიგო და სახე-გაბრწყინვებულმა მოსწია ბისმარკის სიგარა, მაგრამ ბისმარკიც ძალიან კმაყოფილი იყო მეორე სიგარით, თუმცა ნაკლები ღირსებისა იყო.

—

ფულის საოცარი მოანგარიშე. იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც ჰქონდა ბისმარკთან ჟიულ-ფავრს საფრანგეთის სამხედრო გადასახადის შესახებ 1870—1871 წლების ომის შემდეგ, დაესწრო ექსპერტად ბანკირი ბლეიხრედერი. ფავრი გაცეცხლებული იყო იმის გამო, რომ ბისმარკი 5 მილიარდს თხოულობდა.

— ერთი მიბრძანეთ, — შეჰყვირა ფავრმა, — იცით თუ არა, რომ მაგდენ ფულს ვერ დაითვლიდით, თუნდა ქრისტეს დაბადებიდან დაგეწყოთ თვლა!

— ოჰ, ნუ სწუხართ, — მიუგო ბისმარკმა. — სწორედ ამისათვის მოვიყვანე აქ ეს კაცი (მან მიუთითა ბლეიხრედერზე). ეგ სულ ფულების თვლაშია ქვეყნის შექმნიდანვე, არა თუ ქრისტეს დაბადებიდან.

—

ბისმარკის მორჩილება. პროფესორი შვენინგერ ძლიერ მოურიდებლად ექცეოდა ბისმარკს. ერთხელ ბისმარკს უნდოდა ექიმისაგან აკრძალული კერძის შეჭმა. დაინახა თუ არა ეს შვენინგერმა, ხმის ამოუღებლივ მოავლო ხელი თეფშს და რაც მაზე იყო, ფანჯრიდან გადაჰყარა. ბისმარკი ამან ძალიან გააოცა, მაგრამ შემდეგ გაიცინა და ამის მეტად აღარ დაურღვევია თავისი შინაური ექიმის ბრძანება.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

29 ივლისი.

**პარიზი**. რესპუბლიკის ბრალმდებელი, რომელსაც ბერტილიუსმა გადასცა საბუთის ქაღალდები ესტერგაზისა და პოეს საქმის გამო, იმ აზრს დაადგა, რომ არავითარი საბუთი არ არის, რომ ისინი სამართალში იქმნენ მიცემული რესპუბლიკის ბრალმდებელმა დაუბრუნა ქაღალდები ბერტილიუს, რომელიც საღამოზე დაადგენს თავის გარდაწყვეტილებას.

**პარიზი**. ბერტილიუსმა ხელი მოაწერა იმ გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ესტერგაზი და პოე საბრალდებულო პალატის წინაშე უნდა წარსდგნენ. ესტერგაზისა და პოეს სიყალბის ჩადენის ბრალსა სდებს. რადგანაც ეს გარდაწყვეტილება ეწინაალმდეგება რესპუბლიკის ბრალმდებელის აზრს, ამიტომ შესაძლებელია ბრალმდებლისა და ბერტილიუსის შორის შეტაკება მოხდეს.

**ლონდონი**. საზოგადოებათა პალატა. აშმიდ ბარტლეტმა იკითხა: მართალია თუ არა ის ხმა, რომ რუსეთმა აბაშეთის ნეგუსისაგან შავს ზღვაზედ რახეიტი მიიღო სა ზღვაო სადგურის გასამართავადაო. კერზონმა მიუგო, რომ მაგისთანა ამბავი არ შეგვიტყვია და არ ვიცით აბაშეთის ნეგუს შეუძლიან თუ არა რახეიტი სხვას დაუთმოს.

**მადრიდი**. იმ კაცთა უმეტესობამ, ვისთანაც საგასტას მოლაპარაკება ჰქონდა, ის აზრი წარმოსთქვა, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად საჭიროა ახალი კაბინეტი იქმნას დანიშნულიო. სამინისტროს გაზეთი „Kloh“ სწერს, რომ საჭიროა მოწვეული იქმნას კორტესები ზავის შესახებ მოლაპარაკების დასამტკიცებლადაო.

**ალექსანდრია**. როგორც იმენიდგან იუწყებიან, საქმე მეტად გამწვავებულა. არაბნი მოსვენებას არ აძლევენ ოსმალოებს. პორტა კარგა ბლომა ჯარსა ჰგზავნის: მაისიდგან არაბეთში უკვე 10,3000 კაცი გაისტუმრა. არეულობა უფრო დიდია, ვიდრე წინათ ეგონათ.

**ცეტინე**. ბოლგარიის მთავარი დაესწრო ჯარის აღლუმს, რომლის შემდეგაც სამხედრო სადილი იქმნა გამართული. მთავარმა ნიკოლოოზმა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო დალია, ხოლო ბოლგარიის მთავარმა ჩერნოგორიის მთავრის და იმის ჯარის სადღეგრძელო.

**ნიუ-იორკი**. გენერალმა ვილსონმა გუშინ პორტორიკოში კოამსი დაიპყრო.

**ვაშინგტონი**. მორიგება მოხდა. ის ოქმი, რომელიც ზავის პირობებს შეიცავს შედგენილ იქმნა.

**პარიზი**. სააპელაციო სასამართლომ დაიხილა ზოლას სააპელაციო საჩივარი 9 ივლისს დადგენილ გადაწყვეტილების წინააღმდეგ იმ ცილის წამების შესახებ, რომელსაც ზოლას ექსპერტები უჩიოდნენ. ზოლა საქმის გარჩევას არ დასწრებია. სასამართლომ გარდაუწყვიტა ერთის თვით დაპატიმრება და 2,000 ფრანკის ჯარიმის გარდახდა; აგრეთვე 10,000 ფრანკის გარდახდა თითო მომჩივარის სასარგებლოდ.

მიიღება ხელის-მოწერა

რუსულ-ქართულ

**ენციკლოპედიურ ლექსიკონ**-ზე

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო ანზე, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის-მოწერით მარტო 12 მანეთი, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ. ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო ბანზე უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (5—5)

საზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

ღებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა** და **თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество „ЯКОРЬ“

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—34)

პანსიონი და სასწავლებელი

ნ. დიდებულიძისა

**გადავიდა** ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც ღებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდის და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.

მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნი